თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №7

თბილისი, 7 ოქტომბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:07 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქოიავა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნათელა ხმალაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის სამმართველოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი თეიმურაზ მიქაბერიძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „სოციალური სამართლიანობისათვის“ – მამუკა ტუსკაძე;

– „ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;

– ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;

– OSCE/ODIHR – ანა კაკალაშვილი, მარლა მორი, ალი ვერჯე;

– აშშ-ს საელჩო – ხათუნა ჭითანავა;

– „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – ნინო დოლიძე, სლავომირ ჟიჟკა;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;

– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

– „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორგელიძე;

– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – ირაკლი ჭანტურიძე;

– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – პაატა ყვავაძე;

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;

– „სამართლიანობის განვითარების ინსტიტუტი“ – არჩილ სოფრომაძე;

– „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;

– „პლატფორმა სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;

– „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ – მიხეილ ანდღულაძე;

– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;

– „საზოგადოებრივი დამცველი“ – ირინა ფუტკარაძე;

– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:07 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვა, რომელიც გაეგზავნა შესაბამის უწყებებს რეაგირებისთვის;

2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;

3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მასზე შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული რეაგირებების განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა რუსთავსა და ვაზიანში მომხდარ შესაძლო საარჩევნო დარღვევების ფაქტებს, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, რუსთავში, ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის თანამშრომელმა პლაკატების არასათანადო ადგილებზე გაკვრის ფაქტი დააფიქსირა. ზემოაღნიშნულმა თანამშრომელმა პლაკატების გამკვრელებს აუხსნა, რომ მათ არ ჰქონდათ იმ ადგილას სააგიტაციო მასალის განთავსების უფლება, რასაც მოჰყვა მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ ა(ა)იპ-ის თანამშრომელს მუნიციპალიტეტის მიერ განემარტა, რომ,

რამდენადაც იგი არ იყო უფლებამოსილი პირი და არც ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი, მომავალში თავი შეეკავებინა მსგავს სიტუაციებში ჩარევისაგან.

ვაზიანის შემთხვევაზე ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა. მისი განცხადებით, ფაქტთან დაკავშირებით 2020 წლის 28 სექტემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს ვაზიანის პოლიციის განყოფილებაში შევიდა პარტია „ევროპული საქართველოს" წევრ ოლეგ ღვალაძის შეტყობინება გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში ამ უკანასკნელთან ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან კონფლიქტის შესახებ.

ოლეგ ღვალაძესთან ჩატარებული გასაუბრებით დგინდება, რომ 2020 წლის 12 სექტემბერს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ევროპული საქართველოს" სააგიტაციო პლაკატების გაკვრის დროს მას და მის თანმხლებ პირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან მოუვიდათ სიტყვიერი შელაპარაკება, რაც გამოიხატა მოსახლეობის მხრიდან მათი პარტიის მიმართ გამოთქმული პროტესტით. ოლეგ ღვალაძის განცხადებით, საარჩევნო კამპანიის პროცესისთვის ფიზიკურად ხელის შეშლას ან რაიმე ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. მისივე განმარტებით, კონფლიქტი ამოწურული იყო, პრეტენზია არავის მიმართ არ გააჩნდა და პოლიციას გადაუხადა მადლობა დროული და სწორი რეაგირებისთვის.

დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა.

შემდგომ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სამსახურის მანქანით ხელვაჩაურის მერის „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრაზე მისვლას, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს. ბატონმა ნიკოლოზმა, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ განმარტებაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ 2020 წლის 22 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მაჭახელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში – ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარასა და ქოქოლეთში, სადაც თავის წარმომადგენლებთან ერთად ათვალიერებდა მიმდინარე საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა. მერის პირველი სამუშაო ვიზიტი შედგა

ზედა ჩხუტუნეთში, შემდეგ კი, ცხემლარასა და ქოქოლეთში. ზედა ჩხუტუნეთიდან დაბრუნების დროს ბატონ ჯუმბერს აცნობეს, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე სააგიტაციო შეხვედრას მართავდნენ სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის მოსახლეობასთან. რამდენადაც ზედა ჩხუტუნეთიდან ცხემლარამდე ჩამოსასვლელი საავტომობილო გზა გადის ქვედა ჩხუტუნეთზე, მერს მოუხდა ზემოაღნიშნულ სოფელში გავლა, რა დროსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერდა ანზორ ბოლქვაძესა და ფრიდონ ფუტკარაძესთან გამოლაპარაკების მიზნით, შემდეგ კი, ისევ გააგრძელა დაგეგმილი ვიზიტი ცხემლარასა და ქოქოლეთში.

მუნიციპალიტეტის განმარტების შესაბამისად, სააგიტაციო შეხვედრაში მონაწილეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაგეგმილი არ ყოფილა და ქვედა ჩხუტუნეთში მიზანმიმართული ვიზიტი არ განუხორციელებია. შესაბამისად, სააგიტაციო მიზნებისთვის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილის გამოყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნულ საკითხზე, ცესკო-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა, განაცხადა, რომ ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია საჩივარი და თავმჯდომარეს დაწყებული აქვს წარმოება. ბატონი გიორგის თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრის შესვლიდან ათი დღის განმავლობაში იქნება მიღებული.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა შემდეგ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ქადაგიშვილის ქ. ლაგოდეხში გამართულ შეხვედრაზე სსიპ-ებისა და ა(აი)იპ-ების თანამშრომელთა დასწრებას სამუშაო საათების დროს. მან წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდში ირაკლი ქადაგიშვილის მიერ ქ. ლაგოდეხის მოსახლეობასთან შეხვედრები ინტენსიურად იმართებოდა. ქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე თითოეულ შეხვედრას დაახლოებით ორმოცდაათამდე მცხოვრები მაინც ესწრებოდა. მართალია, შეხვედრებმა თითქმის ყველა ქუჩა მოიცვა, თუმცა, მათზე სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების დასწრებას ადგილი არ ჰქონია.

მუნიციპალიტეტის განმარტებით, დასახელებულ შეხვედრებზე საჯარო მოსამსახურეთა დასწრების შემთხვევაში, ინფორმაციის წყაროს – „რადიო ჰერეთს", შეეძლო დაეფიქსირებინა მათი ვინაობა, რასაც ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, „რადიო ჰერეთმა" გაავრცელა

ინფორმაცია, რომელშიც კონკრეტულ პირებზე საუბარი არ არის, ან/და ადგილი აქვს დაუსაბუთებელი ინფორმაციის წარმოდგენას, რის გამოც მუნიციპალიტეტის მიერ ვერ მოხერხდა რომელიმე თანამშრომლის იდენტიფიცირება.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდეგ ინფორმაციაზე (ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისზე შეურაცხმყოფელი ნახატების გამოსახვა) ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ. ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2020 წლის 23 სექტემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება დავით უგრეხელიძის კუთვნილი ფართის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო დავით უგრეხელიძის განცხადება. ამ დრომდე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 23 სექტემბერს დავით უგრეხელიძეს, რომელიც არის ქ. ბოლნისში სულხან-საბას ქუჩაზე მდებარე ფართის მეპატრონე, დაუზიანეს შენობის ფასადი. ფართის ერთ ნაწილში დავით უგრეხელიძეს გახსნილი აქვს კლინიკა „გლობალმედი", ხოლო მეორე ნაწილი მიაქირავა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას". შენობის გარე ფასადთან ერთად დაზიანებული იყო ზემოხსენებული პოლიტიკური გაერთიანების სარეკლამო ბანერი და დავით უგრეხელიძის კუთვნილი ფართის გარე პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერა.

დაზიანება გამოიხატა წითელი ფერის საღებავის მისხმით, რომლის გამოყენებითაც ფასადზე გამოსახული იყო შეურაცხმყოფელი ნახატი. საღებავი, ასევე, მისხმულია სარეკლამო ბანერსა და სამეთვალყურეო კამერაზე.

გამოძიების ეტაპზე გამოკითხულია დავით უგრეხელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ სამეთვალყურეო კამერების დათვალიერების შემდეგ გამოჩნდა ერთი პიროვნება, რომელსაც უკეთია ნიღაბი და აზიანებს შენობის ფასადს, შემდგომ კი, პოლიტიკურ ბანერს, ხოლო მეორე პიროვნება, რომლის ვინაობაც, ასევე, გაურკვეველია, კამერას ასხამს საღებავს.

საქმეზე დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი, ფასადის, ბანერისა და ვიდეოკამერების დაზიანებით მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით დანიშნულია საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხებოდა ინციდენტში საჯარო მოსამსახურის, „ვიღაც პაპუნას“ მონაწილეობას, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ვერ მოხერხდა მათი რომელიმე თანამშრომლის იდენტიფიცირება.

პირადი ცხოვრებით ქალი პოლიტიკოსების შანტაჟსთან დაკავშირებით („ლელოს“ წევრი ქალბატონისადმი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროს ლაშა გვასალიას მხრიდან პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტების გასაჯაროების შესაძლო მუქარა), ისაუბრა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა. სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის განმარტებაზე დაყრდნობით, მან განაცხადა, რომ ლაშა გვასალიამ თავად მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს ზემოაღნიშნული ფაქტის გამოძიების მოთხოვნით, რათა დამნაშავე დასჯილიყო კანონის სრული სიმკაცრით. გვასალიას მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული კამპანია. მისი განმარტებით, პოლიტიკური პარტია „ლელოს“ მისამართით, მან, უბრალოდ, ყოველგვარი ლანძღვის ან შეურაცხყოფის ნიშნებისგან თავისუფალი ღიმილისმომგვრელი „სახუმარო პოსტი“ დადო საკუთარ გვერდზე, რასაც „ლელოს“ მხრიდან მოჰყვა არაადეკვატური რეაქცია და მისი ლანძღვა. კომენტარებზე გვასალიას პასუხები „ლელოს“ აქტივისტების მიერ რატომღაც ჩაითვალა სექსისტურ განცხადებად და პირადი ცხოვრების ფაქტების გასაჯაროების მუქარად, რაც, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის თქმით, არ შეესაბამება სიმართლეს.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე ისაუბრა ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმაც. მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოხდა ორივე მხარესთან გასაუბრება და დეტალური ინფორმაციის მიღების შემდეგ დადგინდა, რომ დანაშაულის ნიშნებს ადგილი არ ჰქონია. ქალბატონმა ნინომ დამატებით აღნიშნა, რომ ხშირია მსგავსი ტიპის ინფორმაციების (პირადი ცხოვრების ფაქტების გასაჯაროების მუქარა) გავრცელება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ, თუმცა, კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ ხდება, რათა მათი მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში, მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, მსგავსი დამოკიდებულება წარმოადგენს სამწუხარო ტენდენციას და, ამგვარად, ხშირად აქვს ადგილი ინფორმაციებით მანიპულირებას.

ბატონი გოჩაც გამოეხმაურა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს და განაცხადა, რომ დაუსაბუთებელი და მტკიცებულებებით გაუმყარებელი ინფორმაციების გავრცელება იწვევს პოლიტიკური პროცესების მანიპულაციის განცდას. მან მოუწოდა საარჩევნო პროცესში მონაწილე სუბიექტებს, რომ მათი მხრიდან მსგავს დამოკიდებულებას არ ჰქონდეს ადგილი და ეცადონ, ყველანაირად შეუწყონ ხელი საარჩევნო პროცესის მშვიდობიან და თავისუფალ გარემოში წარმართვას.

შემდგომ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ოჯახის წევრის პოლიტიკური აქტიურობის გამო იარაღით მუქარას, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ ნინო ცაციაშვილს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2020 წლის 30 სექტემბერს შსს სენაკის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ლევან სალაყაის მიერ გიორგი გოგავას მისამართით განხორციელებული მუქარისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვა/ტარების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

გიორგი გოგავას განმარტებით, 2020 წლის 30 სექტემბერს, საღამოს საათებში, იგი საკუთარი ავტომანქანით მოძრაობდა ქ. სენაკის ქუჩებში, რა დროსაც მას სამხედრო პოლიციის ავტომანქანით გზა ჩაუჭრა სამხედრო პოლიციის თანამშრომელმა ლევან სალაყაიამ, რომელმაც პისტოლეტის მსგავსი საგანი მიმართა გიორგი გოგავას მისამართით და დაემუქრა, რომ შუბლს გაუხვრეტდა, რასაც გიორგი გოგავა უკავშირებს დედის – მირანდა მირცხულავას პოლიტიკურ საქმიანობას.

ლევან სალაყაია მოწმის სახით გამოკითხვისას უარყოფს მუქარის განხორციელების ფაქტს და განმარტავს, რომ ქუჩაში სამსახურებრივი ავტომანქანით მოძრაობისას რამდენიმეჯერ საავარიო სიტუაცია შეუქმნა მის სიახლოვეს მოძრავმა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანამ, რომელსაც ავტომანქანიდან გადმოუსვლელად მისცა სიტყვიერი შენიშვნა, რათა ყურადღებით ემოძრავა. შენიშვნის მიცემის შემდეგ, ლევან სალაყაიას განმარტებით, მან განაგრძო მოძრაობა, ხოლო „მერსედესის“ მძღოლი, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა გიორგი გოგავა, უკან დაედევნა სიგნალით, უნთებდა ფარებს და სთხოვდა გაჩერებას, რის შემდეგაც თავად გიორგი გოგავამ მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ამ ეტაპისათვის მოცემულ საქმეზე იკითხებიან მოწმეები, ჩატარდა ლევან სალაყაიას საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, ამოღებულია მის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი და ტარდება ყველა სათანადო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება.

ზემოაღნიშნულ საკითხზე თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაწყებული აქვს სამსახურებრივი შემოწმება, რათა დადგინდეს, ინფორმაციაში მოხსენიებული პირის მხრიდან ადგილი ხომ არ ჰქონდა სამსახურებრივ გადაცდომას.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ქართული ოცნების" მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებას, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს. ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია „ევროპული საქართველოს" საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია „ქართული ოცნების" მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე რეაგირება. მისი თქმით, კომისიის თავმჯდომარეს დაწყებული აქვს წარმოება და კანონით განსაზღვრულ ათი დღის ვადაში მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

შემდეგ საკითხზე (მარნეულის ინციდენტი) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება. განმარტების თანახმად, რამდენადაც ინფორმაცია შეეხებოდა ძალადობის ფაქტებს, რომელშიც ფიგურირებდა საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისად, მიმდინარეობს გამოძიება. ბატონი ნიკოლოზის თქმით, მუნიციპალიტეტი ელის გამოძიების შედეგებს.

მარნეულის ინციდენტზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ცალკეული პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა დადგება ვინც მონაწილეობდა ძალადობრივ ქმედებებში. ქალბატონი ნინოს თქმით, ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებთან ერთად „ქართული ოცნების" წარმომადგენლების პასუხისმგებლობაც დადგა, სრულად ადასტურებს იმ მიუკერძოებელ პოლიტიკას, რომელიც გაცხადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

მედიამონიტორინგით მიღებულ მომდევნო ინფორმაციაზე (ბოლნისში „ქართული ოცნების“ პარტიულ შეხვედრაზე მასწავლებლების სამუშაო საათებში მიყვანა) ისაუბრა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ. ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა წარმოადგინა ბოლნისის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, რამდენადაც 5 ოქტომბერს აღინიშნება მასწავლებელთა საერთაშორისო დღე, ბოლნისის მოქმედმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა გოგი მეშველიანმა, კულტურის სახლში გამართა შეხვედრა მუნიციპალიტეტის პედაგოგებთან იმ მიზნით, რომ მათთვის მიელოცა პროფესიული დღე და, ამავე დროს, გაეზიარებინა სამომავლო ხედვები. ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე მიწვეული იყო მუნიციპალიტეტის ყველა ის პედაგოგი, რომელსაც შეხვედრის დროისთვის უკვე დასრულებული ექნებოდა საგაკვეთილო პროცესი. რესურსცენტრის ინფორმაციით, ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და შეხვედრა გაიმართა კანონის სრული დაცვით.

ზემოაღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს პოლიტიკური გაერთიანება „ზვიადის გზის“ თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა და „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარემ, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა. ბატონმა მიხეილმა (გელა) განაცხადა, რომ მასწავლებლების ქმედებაში შესაძლოა, მაინც იკვეთებოდეს დარღვევა, რადგან რთული განსასაზღვრია, თუ როდის მთავრდება ამა თუ იმ მასწავლებლის სამუშაო საათები. ბატონი დანიელი არ დაეთანხმა მის განცხადებას და აღნიშნა, რომ, რამდენადაც რესურსცენტრმა ვერ დაინახა მასწავლებლების ქმედებებში დარღვევის ნიშნები, შესაბამისად, ისინი ნამდვილად კანონის ნორმების დაცვით მოქმედებდნენ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელმა ლელა ხათრიძემ მის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარ დაპირისპირებას და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა ინციდენტში მონაწილე პირთა დროული იდენტიფიცირებისა და დაკავებისკენ. იგი შეეხო პოლიტიკოსი ქალების მიმართ პირადი ცხოვრების შანტაჟის ფაქტებსაც. მისი თქმით, ზემოხსენებული საკითხი საჭიროებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მეტ ყურადღებას და სიფრთხილეს. ამასთან, აუცილებელია მსგავსი ფაქტების დროული გამოძიება და დამნაშავის დასჯა.

ქალბატონმა ლელამ სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად მუნიციპალიტეტებში აქტიურდება ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებზე ზეწოლა და მუქარა რაც, ასევე, საყურადღებოა. მისი განცხადებით, აუცილებელია სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების კიდევ ერთხელ გაფრთხილება, რათა თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

კომისიამ მედიამონიტორინგით მოპოვებული მასალების ამოწურვის შემდეგ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხი (მოწოდებული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან).

ბატონმა მიხეილმა (გელა) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ 11 სექტემბერს კომისიის სამდივნოს მიმართა ორი განცხადებით. მისი თქმით, პირველი საკითხი ეხებოდა საჯარო მოსამსახურეებისთვის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას. მისი მოსაზრებით, ცესკო-ს რეკომენდაციით კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით მისი მოთხოვნა/პრეტენზია ამ საკითხთან მიმართებით მთლიანად დარეგულირდა. მეორე საკითხი ეხებოდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მის პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებით. როგორც განცხადებით ირკვეოდა, საკითხი ეხებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ცვლილებების შეტანის საკითხს. ამასთან, ბატონმა მიხეილმა (გელა) განაცხადა, რომ საჯარო რეესტრში მიმართვის შემდეგ ზემოაღნიშნული საკითხიც დარეგულირდა.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) აღნიშნა, რომ კომისიის სამდივნოს ელექტრონულ ფოსტაზე გამოაგზავნა განცხადება, რომლის თანახმად, 5 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ხატია დეკანოიძემ და ამავე პარტიის მხარდამჭერებმა, „ქართული ოცნების“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახი კახიშვილის საარჩევნო შტაბთან

აქცია-პერფორმანსი გამართეს. ხატია დეკანოიძესთან ერთად აქციაში მონაწილეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთა. ბატონი დანიელის თქმით, აქციის მონაწილეები და, პირველ რიგში, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ხატია დეკანოიძე აცხადებდნენ, რომ თითქოს მმართველი გუნდი წინასაარჩევნოდ აქტიურად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. ბატონი დანიელის მოსაზრებით, ამის საფუძველი არ არსებობს. მარნეულში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით მან მიმართა სამართალდამცავ უწყებებს, მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („სოციალური სამართლიანობისათვის“) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების ხელმძღვანელი ბესო ზედელაშვილი მასზე, როგორც საარჩევნო სუბიექტზე, ახორციელებს ზეწოლას. მისი თქმით, მსგავსი ქმედება არის როგორც საარჩევნო საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა, ისე სისხლის სამართლის დანაშაული. როგორც ბატონმა მამუკამ აღნიშნა, აპირებს განცხადების შეტანას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მისი და ბესო ზედელაშვილის საუბრის ჩანაწერის დართვით. ამასთან, მისი თქმით, ბესო ზედელაშვილმა ზეწოლა განახორციელა გამომძიებელზეც. ყოველივე ამის შემდეგ, ბესო ზედელაშვილი დღემდე მუშაობს და განაგრძობს საქმიანობას ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილებაში. მან მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისკენ.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ მიმართა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება მისი ორგანიზაციის ლიდერის შვილის (ნატო ალთუნაშვილის) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში კონკურსის გავლის შედეგად ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა მამის პოლიტიკური აქტივობის გამო. ბატონი მამუკას თქმით, მან წინა სხდომაზეც წამოჭრა ეს საკითხი, თუმცა, მუნიციპალიტეტის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მსგავსი საკითხების განხილვა სცდება კომისიის უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთან, ბატონმა გოჩამ აღნიშნა, რომ როგორც, მისთვის და დამსწრე პირებისთვის არის ცნობილი, ბატონი მამუკას მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე მის მიმართ ზეწოლის საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს

მოკვლევას, რაზეც წინა სხდომაზე განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ქალბატონი ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი („ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“) შეეხო წინა სხდომაზე მის მიერ გახმიანებული საკითხის დაზუსტებას მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაურ დარგალის მოსახლეობასთან შეხვედრასთან დაკავშირებით, სადაც დაფიქსირდა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილი. მან მოითხოვა, საკითხზე დაზუსტებული ინფორმაცია მიწოდებოდა ელექტრონული ფოსტით.

ქალბატონ ნატალიას უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ დაუყოვნებლივ მიეწოდა ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ბატონი დავით ლილუაშვილი („საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“) თავის გამოსვლაში შეეხო გლდანში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნიკანორ მელიასა და უცხო პირებს შორის მომხდარი დაპირისპირების საკითხს. როგორც მან აღნიშნა, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ნიკანორ მელიას უცხო პირებმა ქვები დაუშინეს. მისი თქმით, შესაძლოა, ეს ფაქტი შეგნებულად თავად პარტია „ერთიანი ნაციონლური მოძრაობის“ ან/და სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა განახორციელეს, რათა შემდგომში მმართველ პარტიას დაბრალებოდა. ბატონი დავითის მოსაზრებით, ზემოხსენებულ ფაქტს არჩევნების შემდგომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიასაშუალება მმართველი პარტიის წინააღმდეგ გამოიყენებს.

ბატონი გრიგოლ გაგნიძე („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“) შეეხო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის საარჩევნო ბანერებთან განთავსებული მეორადი ტანსაცმლის ფუთების ფაქტს. მისი მოსაზრებით, მსგავსი შემთხვევა წარმოადგენს ამომრჩევლის მოსყიდვას და საჭიროებს შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირებას.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს მუდმივად ესწრებიან მხოლოდ ორი ან სამი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და არ ესწრებიან იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც მოწვეული არიან კომისიის სხდომებზე. მისი თქმით, არ არის საკმარისი წინასაარჩევნო პერიოდში მხოლოდ მედიასაშუალებით მათი პოზიციების გაშუქება; აუცილებელია, ისინი ცხადდებოდნენ და აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციებს/მოსაზრებებს კომისიის სხდომაზე.

ბატონი მიხეილ (გელა) სალუაშვილი გამოეხმაურა დანილ დავითაშვილის მოსაზრებას და კომისიას მიმართა რჩევით, რომ, თუ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ სხდომებზე მოწვეული ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ გამოცხადდება, მათი საკითხი კომისიის სხდომაზე არ განიხილონ.

ბატონმა მიხეილ ანდღულაძემ („ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“) ხაზი გაუსვა კომისიის დანიშნულებას და მისი საქმიანობის ეფექტურობის საკითხს. ამასთან, ბატონმა მიხეილმა საკუთარი აზრი დააფიქსირა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი ზემოხსენებული კომისიის მანდატის საკითხზე. კერძოდ, ის შეეხო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით გათვალისწინებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები – 2018 წლის 28 ოქტომბერი – 28 ნოემბერი, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის 2019 წლის 28 თებერვლის ანგარიშის მე-12 ნაწილის შესაბამისად, კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეიტანება მხოლოს ის საკითხები, რომლებიც საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დრღვევის ან სხვაგვარად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს ეხება). მისი მოსაზრებით, უკეთესია, კომისიაზე განიხილებოდეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ სხდომაზე დამსწრეთა საყურადღებოდ აღნიშნა, რომ კომისია განიხილავს როგორც მისი მანდატით გათვალისწინებულ (საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო პროცესში არამართლზომიერი ჩარევის საკითხებს), ისე მედიამონიტორინგის

შედეგად კომისიის სამდივნოსთვის მოწოდებულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. მან ხაზი გაუსვა კომისიის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ ის უნდა იყოს უწყებათაშორისი კომისიის ეფექტური ინსტრუმენტი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც პასუხობს წინა და დღევანდელ სხდომაზე განხილულ საკითხებს. კერძოდ, რეკომენდაციები ეხება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს, ასევე, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს.

რეკომენდაციების გაცნობისას გაიმართა დისკუსია. თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძემ (კომისიის წევრი) თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რომ რეკომენდაციის პირველი მუხლის „გ" პუნქტი უფრო მეტად დაზუსტებულიყო/დარედაქტირებულიყო („გ" პუნქტი – „ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებმა მაქსიმალურად შეიკავონ თავი ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ძალადობისგან") წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრების ნაწილში; კერძოდ, დაზუსტდეს, ხომ არ იგულისხმება ძალადობრივი წინააღმდეგობა.

ბატონმა ბექა ძამაშვილმა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი) ბატონი რატის საპასუხოდ, მისი კომენტარის გათვალისწინებით, გამოთქვა მოსაზრება რეკომენდაციის პირველი მუხლის „გ" პუნქტის შემდეგი სახით რედაქტირებასთან დაკავშირებით: „გ" პუნქტი – „ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებმა მაქსიმალურად შეიკავონ თავი ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ძალადობისგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი".

თავმჯდომარის მიმართვაზე ამგვარად რედაქტირებული რეკომენდაციის გამოცემასთან დაკავშირებით კომისიის ყველა წევრის მხრიდან გამოითქვა თანხმობა.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო თარიღად გამოცხადა 2020 წლის 13 ოქტომბერი, 11 საათი.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2020 წლის 7 ოქტომბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს და

რეკომენდაციით მიმართავს:

1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს:

ა) თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

ბ) საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად გაემიჯნონ საარჩევნო პოლიტიკურ პროცესებს, ისე, თუნდაც, აღქმა არ დარჩეს, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ მოქმედებენ;

გ) მაქსიმალურად შეიკავონ თავი ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ძალადობისგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

2. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს:

ა) პოლიტიკურმა პარტიებმა/საარჩევნო სუბიექტებმა გასცენ მკაფიო მითითება, რომ მათმა მხარდამჭერებმა, განსაკუთრებით კი, საჯარო მოსამსახურეებმა, თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი;

ბ) პოლიტიკურმა პარტიებმა/საარჩევნო სუბიექტებმა გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ მხარდამჭერებს, განსაკუთრებით, საჯარო მოსამსახურეებს, კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან მის განთავსებაში ხელის შეშლა.

სხდომა დასრულდა 13:03 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ბ. იმერელიშვილი

კომისიის მდივანი:

ს. ლეკვეიშვილი